იან იანსენ სტრუისი/Jan Janszoon Struys (დაახ. 1630-1694) - ჰოლანდიელი მოგზაური, რომელიც მე-17 საუკუნის შუა ხანებში, დაახლოებით 30 წელიწადის განმავლობაში მოგზაურობდა მსოფლიოს გარშემო. ოთხი ძირითადი მოგზაურობისას მოგზაურმა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, მახლობელი და შორეული აზიის მნიშვნელოვანი ნაწილის მონახულება მოახერხა. ცნობები მისი მოგზაურობის შესახებ თავმოყრილია მისსავე ნაშრომში: *„იან იანსენ სტრუისის მოგზაურობა მოსკოვში, ტარტარეთში, სპარსეთში, ინდოეთსა და სხვა რამდენიმე უცხო ქვეყანაში“* [1], რომელიც ამსტერდამში 1681 წელს ფრანგულ ენაზე გამოიცა.



ნიშანდობლივია, რომ თავის ნაშრომში, იან იანსენ სტრუისი ყურადღებას კავკასიის ხალხებისადმიც იჩენს და რეგიონში შექმნილი მძიმე პოლიტიკური, სოციალური

[1] Jan Janszoon Struys, *Les Voyages de Jean Struys en Moscovie, en Tartarie, en Perse, aux Indes et en plusieurs autres païs étrangers* (Amsterdam : Chés la Veuve de Jacob van Meurs, 1681).

და ეკონომიკური პრობლემების შესახებ უამრავ ღირებულ ინფორმაციას აწვდის მკითხველს.

სომხეთის შესახებ:

« Cette ville est assise au pié de la montagne d'Ararath et confine à la Médie, étant éloignée de la Mer Caspienne de quelque lieues. Cette ville n'est pas des plus grandes, mais elle n'est pas des moins fortes et murailles sont de pierre dure. Il s'y voit en quelques endroits des Mosquées à la Persienne et un couvent de Carmes. Le plus grand négoce qui s'y fasse est celui des esclaves, que les Tartares du Daguestan y vont vendre de toutes parts… Les habitants d'Urwan sont pour la plupart Arméniens qui ne sont pas fort à leur aise et la montagne qui est mal peuplée ne l'est que de gens qui professent la Communion Romaine. »[2]

« ეს ქალაქი [ერევანი] კასპიის ზღვიდან რამდენიმე ლიეს დაშორებით, არარატის მთის ძირში მდებარეობს და ესაზღვრება მიდიას. ეს ქალაქი, შესაძლოა, არ არის ყველაზე დიდი, მაგრამ იგი საკმაოდ გამაგრებულია და მყარი ქვისგან გაკეთებული კედლები აქვს. ზოგიერთ ადგილას არის სპარსული სტილის მეჩეთები და კარმელიტების მონასტერი. აქ ყველაზე გავრცელებული მონებით ვაჭრობაა, რომლებიც გასაყიდად დაღესტნის თათრებს ყველა მხრიდან მოჰყავთ... ერევნის მკვიდრნი უმეტესწილად სომხები არიან, რომლებიც არც თუ ისე კარგ მდგომაროებაში არიან და მთაზე, რომელიც თითქმის დაუსახლებელია, მხოლოდ ის ადამიანები ცხოვრობენ, რომლებიც რომაულ აღმსარებლობას აღიარებენ. »

•

« Pour lui témoigner ma reconnaissance, je lui ai fait présent d'une croix de la vraie Arche de Noë, où j'ai été; Et dont j'ai coupé le morceau dont sa croix est faite; assavoir d'une des

[2] Ibid, 206-207.

chambres de cette Arche…Toutes lesquelles choses je certifie être véritables et aussi véritables qu'il est certain que je suis encore vivant dans se Saint Ertimage. »[3]

„ჩემი მადლიერების გამოსახატად, მას ჯვარი ვაჩუქე ნოეს ნამდვილი კიდობნიდან,[4] რომელიც მოვინახულე და თავად მოვაჭერი ნაწილი კიდობანს, რომლისგანაც გავაკეთე ჯვარი, კერძოდ, ამ კიდობნის ერთ-ერთი ოთახიდან…ეს ყველაფერი სიმართლეს შეესაბამება და იმდენად ჭეშმარიტია, რამდენადაც მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ ამ წმინდა სავანეში."



*Jean Janſz. m'ayant prié de lui donner une atteſtation, qu'il a été dans ma Cellule ſur la Montagne d'*Ararath*, où il eſt parvenu après y avoir fait en montant quelque trente & cinq lieuës de chemin, je n'ai pas cru qu'il fût raiſonnable de la lui refuſer. Ainſi je déclare qu'il y a été, & deplus qu'il m'a gueri d'une rupture fort incommode : Dequoi je lui ſuis fort obligé; comme auſsi du ſoin qu'il a pris de moi pendant le cours de l'operation. Pour lui témoigner ma reconnoiſſance, je lui ai fait préſent d'une croix de la vraie* Arche de Noë*, où j'ai été; & dont j'ai coupé le morceau dont ſa croix eſt faite; aſſavoir d'une des chambres de cette* Arche. *J'ai auſſi ſpécifié audit* Janſon *les particularités, & la maniére dont elle eſt faite : Et lui ai deplus donné un peu de la pierre ſur laquelle repoſe l'*Arche*, d'où je l'ai détaché moi-même. Toutes leſquelles choſes je certifie être véritables, & auſsi véritables qu'il eſt certain que je ſuis encore vivant dans ce ſaint Ermitage.*

*Sur la Montagne d'*Ararath*, le 22. Juillet* 1670.

DOMINIQUE ALEXANDRE ROMAIN.

საქართველოს შესახებ:

« Pour les Géorgiens, la plupart étaient mis en vente par leurs propres parents, qui, voyant que leur nation est assez bien vue en Perse, en dérobent le plus qu'ils peuvent et les vont vendre à Schamachi. Il est vrai que les Géorgiens ont de la bravoure et de l'adresse, et le

[3] Ibid, 211.
[4] ლეგენდის თანახმად, იგი არარატის მთაზეა.

Roi de Perse, qui les connaît, en tient d'ordinaire à sa Cour et en fait un corps de cavalerie. C'est aussi de ce pays-là que le Roi de Perse fait venir la plupart de ses femmes, car elles sont les plus belles de toute l'Asie, et un esclave de cette nation est toujours plus cher que de toute autre. » [5]

„რაც შეეხება ქართველებს, მათი უმეტესობა გასაყიდად იყო წაყვანილი მისივე ნათესავების მიერ, რადგან ხედავდნენ, რომ ქართველები ძვირად ფასობდნენ სპარსეთში, ისინი იპარავდნენ, რასაც შეძლებდნენ და ყიდნენ შემახაში. მართლაც, ქართველები მამაცები არიან და მარჯვეებიც და სპარსეთის მეფე, რომელიც მათ იცნობს, ჩვეულებრივად მათ საკუთარ კარზე აჩერებს და მათგან ცხენოსანთა რაზმს ქმნის. ასევე, სწორედ ამ ქვეყნიდან მიჰყავს სპარსეთის მეფეს თავისი ცოლების უმეტესობა, რადგან ისინი ყველაზე ლამაზები არიან მთელ აზიაში და ამ ერის მონა ყოველთვის უფრო ძვირია, ვიდრე ყველა სხვა."

მთარგმნელი გ. ფერაძე

ქვეყნდება პირველად

[5] Ibid, 268.